საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №189

1996 წლის 31ივლისი

ქ.თბილისი

„საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის სისტემაში ეკონომიკური სტიმულირებისა და მატერიალური წახალისების ფონდების შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ"

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1996 წლის 12 ივნისის №139 ბრძანებით დამტკიცებული დებულებაში შესწორების შეტანის მიზნით:

1. მთელ ტექსტში სიტყვა „ბიუჯეტგარეშე შემოსავლები" შეიცვალოს სიტყვებით „საბაჟო პროცედურებსა და გაწეული მომსახურებაზე დადგენილი მოსაკრებლები".

2. პირველი თავის 1.6 პუნქტში ციფრი „3" შეიცვალოს ციფრით „ 0.3", ხოლო ციფრი „2", ციფრი „0.2“.

3. პირველი თავის 1.7 პუნქტში ციფრები პროცენტული ოდენობით „20%", „30%", „5 %“ უნდა იკითხებოდეს „20 %-მდე", „30 %-მდე "5 % -მდე".

4. დაემატოს პირველ თავს 1.12 პუნქტი და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით „უფლება მიეცეს საბაჟო ორგანოებს საჭიროებისამებრ ურთიერთშორის გადაანაწილონ სოციალური განვითარების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების და გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფინანსების ფონდების სახსრები".

5. პირველი თავის 2.2 პუნქტის პირველი აბზაცი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მატერიალური სტიმულირების ფონდი გამოიყენება საბაჟო სამსახურის მუშაკთა /საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფთა/ ხელფასზე დანამატების, მატერიალური დახმარების ან პრემიის სახით, ასევე /საბაჟო პროცედურებსა და გაწეულ მომსახურება დადგენილი მოსაკრებლების შემოსავლების დაფინანსებაზე მყოფთა/ ხელფასის, ხელფასზე დანამატის, მატერიალური დახმარების ან პრემიის სახით“.

6. ზემოთ აღნიშნული ცვლილებები წარედგინოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს რეგისტრაციაში გატარებული/18.06.98წ./ „საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის სისტემაში ეკონომიკური სტიმულირებისა და მატერიალური წახალისების ფონდების შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ" დებულებაში ცვლილებების შესატანად.

მინისტრი დ. იაკობიძე